შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი N3

2025 წლის 10 დეკემბერი, ქალაქი ონი

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ლობჟანიძე - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერი;

ლევან შერაზადიშვილი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

მანანა ჩაგელიშვილი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დავისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი;

მარინე რაზმაძე - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი;

თამაზ გოგლიძე- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი;

ია ალიბეგაშვილი -შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი;

ლამარა გამყრელიძე - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი, მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი განათლების საკითხებში.

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა:

ხათუნა ღუღუნიშვილი -შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი;

სხდომა მიჰყავდა:

დავით ლობჟანიძეს - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარეს

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭის თავმჯდომარე დავით ლობჟანიძე, მიესალმა საბჭოს სხდომის მონაწილეებს და ამის შემდეგ, გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.მუნიციპალიტეტში შშმ ქალებისა და გოგონების, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებისა და შესაძლებლობების რეალიზების მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ

მომხსენებელი -მერიის ქალთა ოთახის მთავარი სპეციალისტი -ელენე ჩიკვილაძე;

2.ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებაზე დაფუძნებული სააბილიტაციო და სარეაბილიტაციო სერვისებისა და პროგრამების მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე შეთავაზებისა და განხორციელების მდგომარეობა

მომხსენებელი - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი მარინე რაზმაძე;

3.“წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, შშმ პირები უზრუნველყოფილი არიან მოხმარებული მედიკამენტების, სხვადასხვა სახის ოპერაციების წილობრივი დაფინანსებით“ - ამ მიმართლებით მუნიციპალიტეტში გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ

მომხსენებელი - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი მარინე რაზმაძე

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1 : მუნიციპალიტეტში შშმ ქალებისა და გოგონების, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებისა და შესაძლებლობების რეალიზების მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ

მომხსენებელი -მერიის ქალთა ოთახის მთავარი სპეციალისტი ელენე ჩიკვილაძე

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ 2025 წელს, სახელმწიფოს მიერ, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ, კანონმდებლობის დახვეწას. 2025 წელს ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“, რომელიც ჩვენს მუშაობაშიც მოითხოვს შესაბამის ცვლილებებს. ცვლილებებს კი დრო ჭირდება. დროსთან ერთად მხარდაჭერაცაა საჭირო. თუ დაიგეგმება მიზანზე ორიენტირებული პროგრამები და აღნიშნული პროგრამა შედეგზე იქნება მიმართული, რა თქმა უნდა, ის ყოველთვის იქნება მუნიციპალიტეტის მხრიდან მხარდაჭერილი.

ჩვენ, ამ ეტაპზე, ვმუშაობთ 2026 წლის სამოქმედო გეგმაზე და წინასწარ ვიცით, თუ რა საკითხებს უნდა მიექცეს ყურადღება დაგეგმვის პროცესში. ასე მაგალითად, ვფიქრობთ, რომ ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და დაგეგმვა სწორედ ამ მიმართლებებზე იყოს ფოკუსირებული. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როცა ოჯახში ქალებსა და მამაკაცებს აქვთ თანაბარი უფლებები, მცირდება ძალადობა, იზრდება კეთილდღეობა

და უფრო ძლიერი ხდება საზოგადოებაც. ამ მიმართულებით, მეტი საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვა მოგვიწევს.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალფეროვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ქალების გამოცდილების გათვალისწინებას. მუნიციპალიტეტს ამის გამოცდილება აქვს. მაგალითად, როცა ხდება მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, პრიორიტეტების განსაზღვრა, განხილვის პროცესში, ჩართულია ყველა მუნიციპალურ სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული ქალი, ა(ა)იპ ორგანიზაციების ხელმძღვანელი ქალები, სოფლად მცხოვრები ქალები.

მუნიციპალური პროგრამები და პროექტები, რომელიც ხორციელდება მუნიციპალიტეტში და შეეხება საგზაო კეთილმოწყობას, სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოებს, რეკრიაციული ზონების მოწყობას, რა თქმა უნდა, მორგებულია, როგორც ქალების, ასევე კაცების საჭიროებებზე.

ხაზი მინდა გავუსვა ქალთა ეკონომიკური გაძიერების მიმართულებით, ინდივიდუალური საწარმო „ედენას“ საქმიანობას, თქვა მომხსენებელმა. სადაც 10 ქალია დასაქმებული, მათ შორის ერთი შშმ პირია. იგივე ითქმის ახლადგახსნილ სასტუმრო „ნოველაზე“, სადაც დასაქმებულთა უმეტესი ნაწილი ქალია. ასეთი ინიციატივები ყოველთვის მხარდაჭერილია მუნიციპალიტეტის მხრიდან. მთავარია მოვახერხოთ ქალების გააქტიურება, მათი ცნობიერების ამაღლება, რათა ქალებმა თვითონ მოამზადონ პროექტები და აღნიშნულ პროექტებში ჩართონ ასევე, ქალები.

ახალი კანონი „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“, განსაკუთღებულ ყურადღებას უთმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფას განათლებაში, რისი სრული შესაძლებლობა აქვს, როფორც ქალებს, ასევე კაცებს მაგალითად, ონის საჯარო სკოლაში საშუალება აქვთ ქალებს, ასევე კაცებს, შეისწავლონ კომპიუტერული პროგრამები, რასაც აქტიურად გამოიყენებენ სამომავლოდ.

ონის მუნიციპალიტეტის მერიაში კარგი პრაქტიკაა ქალისა და მამაკაცის სტაჟირების პროგრამაში ჩასართავად, რომელიც წლის მანძილზე, არაერთხელ იმართება, კვალიფიციური სპეციალისტების მიერ.

აღნიშნული კანონი მუნიციპალიტეტების საკრებულოებს და მერიებს ავალდებულებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები, ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. მუნიციპალიტ-ეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, ქმნის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს,რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო. ჩემი მხრიდან, ამ საბჭოს მუშაობაში აუცილებლად აქტიურად ვითანამშრომლებ.

აზრი გამოთქვეს:

მანანა ჩაგელიშვილმა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრმა, რომელმაც თქვა, რომ ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა დაიგეგმოს მოსახლეობის ცნობიერების ასამღლებლად, შეხვედრები. კარგი იქნება, საკრებულოს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურმა საბჭომ, თავის მუშაობაში ჩართოს ონის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი.

დავით ლობჟანიძემ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარემ, რომელმაც თქვა, რომ ყველა ინიციატივას უნდა გავეცნოთ რაც შეიძლება ოპტიმალურ ვადებში, რომ მოხდეს მომდევნო წლის ბიუჯეტში შესაბამისი დაფინანსების გათვალისწინება. დავსხდეთ ერთად, ეს საკითხები, რაც შეიძლება დეტალურად უნდა დამუშავდეს, მაგალითად: პრეზენტაციის სახით წარმოადგინოთ პროექტები და პროგრამები და ამ ფორმით

გავიაროთ, ვიფიქროთ ერთად და ვიზრუნოთ, რომ ყოველი ლარის ხარჯვა იყოს არგუმენტირებული და რაც შეიძლება, შედეგზე ორიენტირებული.

ლევან შერაზადიშვილმა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, აღნიშნა, რომ ჩვენ სულ სხვა მიდგომები გვაქვს, კერძოდ, პროგრამა რომ მომზადდეს, წინასწარ უნდა ჩატარდეს კვლევა და კვლევაზე დაფუძნებით უნდა მოხდეს პროგრამული დაფინანსების გათვლა.

მარიამ რაზმაძემ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრმა, რომელმაც აღნიშნა, რომ განსაკუთრებულ კონტროლზე გვაქვს აყვანილი მარტოხელა დედების და მამების სოციალური დახმარების საკითხი. ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთ ასეთი ოჯახია აღრიცხული. გვაქვს ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და ბავშვების დახმარების პროგრამები. როგორც მარტოხელა ქალს, ასევე მარტოხელა კაცს, ენიჭება სტატუსი და ეძლევა შესაბამისი დახმარება.

დაადგინეს 1.

1.ონის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის მთავარმა სპეციალისტმა, მუშაობაში იხელმძღვანელოს საქართველოს კანონით „ქალისა და მამაკაცის თანაწორობის შესახებ“;

-2026 წლის სამუშაო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმოს საკრებულოს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოსთან ერთად, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დაცვაზე ზედამხედველობას;

- თვალი მიადევნოს საქართველოს კანონის „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ მე- 13 -ე მუხლის შესრულებას, რომელიც აწესრიგებს მუნიციპალიტეტის მიერ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფას.

მოისმინეს 2:

ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებაზე დაფუძნებული სააბილიტაციო და სარეაბილიტაციო სერვისებისა და პროგრამების მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე შეთავაზებისა და განხორციელების მდგომარეობა

მომხსენებელი - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი

ბავშვებს, რომლებსაც ესაჭიროება ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის სერვისების მიწოდება, თქვა მომხსენებელმა, მოიცავს სერვისს, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის განვითარების და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობას და ოჯახის მხარდაჭერას, რომლებსაც ჰყავთ 0-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვები და რომლებსაც აღენიშნებათ სხვადასხვა სახის პრობლემები და არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 9 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და 9 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი ბავშვი. ჩვენს მუნიციპალიტეტში, მუნიციპალური პროგრამების შესაბამისად, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე გაიცემა ერთჯერადი დახმარებები. დახმარებები გაიცემა მაგალითად, 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 18 წლამდე შშმ და სსსმ ბავშვებისთვის, 3600 ლარის ოდენობით, თითოეულზე 200 ლარი. საახალწლო საშობაოდ – 19 ბენეფიციარზე (9 შშმ და 9 სსმ პირზე) გაიცა 3 600 ლარი, თითოეულზე 200 ლარი.

მუნიციპალური პროგრამა ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა რეაბილიტაციას. ამ პროგრამით ერთჯერადად, ფინანსური დახმარება გაიცემა ერთ ბავშზე, 1000 ლარის ოდენობით.

როგორც ვიცით, 18 წლამდე შშმ და სსსმ პირი ბავშვების კონტინგენტი, საბედნიეროდ, მცირეა მუნიციპალიტეტში, რის გამოც ადგილზე, არ ფუნქციონირებს შშმ ბავშვთა დღის ცენტრი. საჭირო მომსახურება ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა მუნიციპალიტეტებში, კერძოდ, ამბროლაურში, სადაც მდებარეობს ორი ფუნქციონირებადი დღის ცენტრი: სოფელ სადმელში - ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისათვის“ და ქალაქ ამბროლაურში - შშმ და სსსმ ბავშვთა დღის ცენტი „ბაო“. ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ამ ცენტრებით. შესაბამისად, შემუშავებულია და ხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (0-დან 18 წლამდე ასაკის) სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა, მათ შორის, აუტიზმის სპექტრის, დაუნის სინდრომის, განვითარების ეტაპების შეფერხებისა და ფიზიკური, თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების სარეაბილიტაციო პროგრამების დაფინანსებას. პროგრამა უზრუნველყოფს აღნიშნული ბავშვების სოციალური, მოტორული, შემეცნებითი, კომუნიკაციური, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბებას. ბენეფიციარებს 100 %-ით უფინანსდება შესაბამისი სარეაბილიტაციო პროცედურებისათვის მოთხოვნილი გადასახდელი თანხა, წლის განმავლობაში არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

ამ პროგრაამის განსახორსიელებლად დამატებით, დამტკიცებულია შემდეგი ქვეპროგრამები, როგორიცაა:

ა) შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა უსაფრთხო ტრანსპორტირება (0-დან 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარებისთვის);

ბ) რეაბილიტაცია–აბილიტაციის პროგრამით სარგებლობისთვის, ტრანსპორტით უზრუნველყოფა ონი–ამბროლაური–სადმელის მარშრუტზე, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს აღნიშნული სერვისის ხელმისაწვდომობასა და ბენეფიციართა რეაბილიტაციის პროცესში ჩართულობას.

თუმცა, მოსაწესრიგებელია წედისიდან ბავშვის ტრანსპორტირების საკითხი. კერძოდ თუ შესაძლებელი იქნება ტრანსპორტირების თანხის გადაცემა მაინც.

აზრი გამოთქვეს:

1.ლავან შერაზადიშვილმა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა წედისის სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის სარეაბილიტაციო ცენტრში ტრანსპორტირების საკითხზე და თქვა, რომ რაც შეიძლება ძალე, ეკონომიკის სამსახურთან ერთად, დაზუსტდეს საკითხი დამატებითი შესაძლებლობების დასაზუსტებლად, რათა დადებითად გადაწყდეს წედისში მცხოვრები ბავშვის სარეაბილიტაციო ღონისძიებაში ჩართვისათვის, წედისამდე ბავშვის ტანსპორტირების საკითხი, რომელსაც უკვე მინიჭებული აქვს შშმ პირის სტატუსი. ასევე, უნდა გაირკვეს შემდეგი: მაშინ, როცა ბავშვები ფინანსდებიან სახელმწიფო ვაუჩერით, ჩვენი დაფინანსების შემთხევაში, ხომ არ მოეხსნებათ სახელმწიფო დაფინანსება ტრანსპოპრტირებაში. მომავალი წლისთვის უნდა დაზუსტდეს, რა არის საჭირო, რომ ყვალა ბავშვი, ვისაც სარეაბილიტაციო- სააბილიტაციო ჩარევის საჭიროება აქვს, ჩავრთოთ ამ პროგრამაში.

დავით ლობჟანიძემ - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარემ, თქვა, რომ საკითხი რადგანაც ეხება ბავშვებს, ადრეულ ჩარევას, მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაციას, მოსაფიქრებელია უკეთესად როგორ ვიმოქმედოთ და რაც მთავარია, ეს საკითხი მხარდაჭერასაც მოითხოვს.

მნიშვნელოვანია, ასეთი საკითხები ერთად გავიაროთ და შესაძლებლობის გათვალისწინებით, აუცილებლად გადავწყვიტოთ ბავშვის სასარგებლოდ.

დაადგინეს 2.

1. სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ- განყოფილების ხელმძღვანელი მარიამ რაზმაძე, ეკონომიკის სამსახურთან ერთად, დააზუსტოს სოფელ წედისში მცხოვრები მაისურაძეების ოჯახისათვის შშმ ბავშვის ქალაქ ამბროლაურში სარეაბილიტაციო ცენტრში

ტრანსპორტირებისათვის დამატებითი თანხის გამოყოფის საკითხი და 2026 წლის სარეაბილიტაციო-სააბილიტაციო პროგრამაში გათვალისწინება;

2. მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-დან 18 წლამდე შშმ და სსსმ ბავშვების მშობლების ჩართულობით, ყველა შშმ და სსმ ბავშვის საჭიროებების დადგენა და მათი ჩართვა სარეაბილიტაციო- სააბილიტაციო პროგრამაში.

მოისმინეს 3.

"წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, შშმ პირები უზრუნველყოფილი არიან მოხმარებული მედიკამენტების, სხვადასხვა სახის ოპერაციების წილობრივი დაფინანსებით" - ამ მიმართლებით მუნიციპალიტეტში გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ

მომხსენებელი - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი მარინე რაზმაძე

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისთვის, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 დეკემბრის N 17 დადგენილებით დამტკიცებული ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ", პროგრამის შესაბამისად, 2025 წლის 1 იანვრიდან 10 დეკემბრამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მითითებული პროგრამის შესაბამისად, შშმ პირებზე ფულადი დახმარებები გაიცა შემდეგნაირად:

- ავადმყოფთა სოციალური დაცვა - ფინანსური დახმარება 285 ბენეფიციარზე გაიცა 143 305 ლარის ოდენობით:

ავადმყოფთა დასახმარებლად, სამედიცინო-დიაგნოსტიკურ კვლევებზე სტაციონარულ მედიკამენტურ და ქირურგიულ მკურნალობაზე, 285 მოქალაქეზე, გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება, ჯამში -143 305 ლარი.

აქედან: 29 შშმ პირზე გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება, 18 988 (თვრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით.

ჰემოდიალიზის კომპონენტის 3/2 მოსარგებლეზე გაიცა 4 894 ლარი (თითოეულზე თვეში 200 ლარი).

უფასო მედიკამენტების უზრუნველყოფის მუხლიდან, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა 11 ონკოლოგიურ ავადმყოფზე, ჯამში 2178 ლარი (თითოეულზე 200 ლარის ოდენობით).

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება - ბიუჯეტით, 30 000 ლარით განისაზღრა;

. ერთჯერადი დახმარება გაიცემა ცერებრალური დამბლის, დაუნის სინდრომის, აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე, ტეტრაპლეგიის, ჰემიპლეგიის, პარაპლეგიის, მკვეთრად

გამოხატული ტეტრაპარეზის, მკვეთრად გამოხატული პარაპარეზის, მკვეთრად გამოხატული ჰემიპარეზის გამო მყარი ნარჩენი მოვლენების, გონებრივი ჩამორჩენის, ეპილეფსიის, ფსიქიკური პრობლემების, III–IV ხარისხის სქოლიოზის, ორმხრივი ნეიროსენსორული (IV ხარისხის) სმენაჩლუნგობის და ინვალიდობის ეტლის საჭიროების მქონე არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, რომელთაც არ შეუძლიათ სრულფასოვნად ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობაში ან იცხოვრონ ცხოვრების ჩვეულებრივი წესით, შემდეგნაირად გაიცა:

არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე პირთა ფინანსური დახმარება 79 ბენეფიციარზე, გაიცა 19 700 ლარის ოდენობით;

არასაპენსიო ასაკის 41 შშმ პირზე ერთჯერადად გაიცა 12 300 ლარი (თითოეულზე 300 ლარი).

საახალწლო- საშობაოდ – 18 შშმ პირზე გაიცა 2 700 ლარი (თითოეულზე 200 ლარი).

დაადგინეს 3.

-მიღებულ იქნას ცნობად, სციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელის, მარიამ რაზმაძის ინფორმაცია "წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, შშმ პირები უზრუნველყოფილი არიან მოხმარებული მედიკამენტების, სხვადასხვა სახის ოპერაციების წილობრივი დაფინანსებით"- ამ მიმართლებით მუნიციპალიტეტში გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე

მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე დ. ლობჟანიძე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საკითხებზე

მომუშავე საბჭოს მდივანი ლ. გამყრელიძე